



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 9 20 0000680927



11/08/2020

სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

## 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

**2.1.** 2020 წლის 22 მაისს სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №12000430495 (ცენტრში რეგისტრაციის №402453) სააკრედიტაციო განაცხადი „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე.

**2.2.** ცენტრის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №430489 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის №464387 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 24 ივნისს განახორციელა სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2020 წლის 20 ივლისს (ცენტრში რეგისტრაციის თარიღი: 21.07.2020) წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	√		
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	√		

**2.3.** საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

**2.4.** ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 04 აგვისტოს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

## გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის 2020 წლის 22 მაისის №12000430495 (ცენტრში რეგისტრაციის №402453) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №679756 სხდომის ოქმის №2 ნაწილი (დანართი №3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 11 აგვისტოს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული  
განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული  
განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
კასრაძე იზა



№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	—
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	24
6	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0108, დანიელ ჭონქაძის N20.
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	11.08.2020
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	—
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	11.08.2025